www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 18 სექტემბერი, 2013 წელი. | №3367 (174) | ფასი 50 თეთრი

ოკუპანტები სოფელ დიცს ყოფენ

გუშინ, დილით, რუსმა სამხედროებმა დიცის ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის სადემარკაციო სამუშაოები გააგრძელეს. აღნიშნულ ტერიტორიაზე მსგავსი სამუშაოები, დაახლოებით, თვენახევრის წინ მიმდინარეობდა, შემდგომ კი შეჩერდა. გუშინ, დილით, რუსები სოფლის განაპირას კვლავ გამოჩნდნენ. ე.წ. სასაზღვრო-სადემარკაციო სამუშაოების გაგრძელების შემთხვევაში არსებობს საფრთხე, რომ სამი საცხოვრებელი სახლი და ასევე სასაფლაო ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოექცეს.

ხუთი ადგილობრივი მკვიდრი რუსებთან გასაუბრებას და იმის თქმას შეეცადა, რომ სასაფლაოსკენ მიმავალი გზა არ გადაეღობათ, რასაც დაპირისპირება მოჰყვა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ყველა მხარეს მოუწოდებს, თავშეკავება გამოიჩინონ და დიცში მცხოვრებთა შეშფოთება გაითვალისწინონ. ამის შესახებ ევროკავშირის სადმკვირვებლო მისიის მიერ გავრცელებულ პრესრელიზშია ნათქვამი.

„დღეს, შუადღით, სოფელ დიცის სიახლოვეს მცხოვრებმა ადგილობრივებმა შეშფოთება გამოხატეს სამხრეთ ოსეთთან, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან ღობეების აღმართვის განახლების გამო. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მთელი დღის განმავლობაში ადგილზე იმყოფებოდა. მისია მოუწოდებს ყველა მხარეს, გამოიჩინონ თავშეკავება და გაითვალისწინონ ადგილობრივთა შეშფოთება,“ - ნათქვამია EUMM-ის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

მასში ასევე აღნიშნულია, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ცხელი ხაზის მეშვეობით დაუყოვნებლივ მოაწყო ტექნიკური ჯგუფისა და ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელთა შეხვედრა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს სამსახურიდან ათავისუფლებენ

თბილისის საკრებულოს უმრავლესობის გადაწყვეტილებით, საკრებულოს აპარატი 13 საშტატო ერთეულით შემცირდება. აღნიშნული გადაწყვეტილება გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე 25 ხმით არც ერთის წინააღმდეგ მიიღეს. სხდომას ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები პროტესტის ნიშნად არ ესწრებოდნენ.

აღნიშნული საკითხი განსახილველად საკრებულოს აპარატის უფროსმა გიორგი ფიცხელაურმა გაიტანა. ამ გადაწყვეტილებით, საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შემდეგ, ცვლილება საკრებულოს 2009 წლის 28 დეკემბერის დადგენილებაში შევა.

საკრებულოს აპარატის უფროსის განმარტებით, საშტატო ერთეულის შემცირების მიზეზი საკრებულოში განყოფილებების შერწყმაა. მისი ინფორმაციით, საკრებულოში გაფორმებული ზოგიერთი პირი სინამდვილეში სხვაგან მუშაობდა. ამასთან, როგორც ფიცხელაური ამბობს, არაკვალიფიციურობის შემთხვევებიც გამოვლინდა.

საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე დავით ჯინჭარაძის განცხადებით კი, იმ პირებს, რომლებიც საკრებულოში იყვნენ გაფორმებული და სამსახურში არ დადიოდნენ, 18 000-დან 20 000 ლარამდე ჰქონდათ აღებული.

საკრებულის თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა საკრებულოს აპარატის უფროს გიორგი ფიცხელაურს მოსთხოვა, საზოგადოებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, თუ რამდენი ადამიანი გაათავისუფლა 2010 წელს უშუალოდ მამუკა ახვლედიანმა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ვაშინგტონში სასაკლაო ყოფილმა რეზერვისტმა მოაწყო

ივა შილაკაძე

აშშ-ს დედაქალაქში ორშაბათს სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამეთაურო ცენტრის ტერიტორიაზე სროლა ფლოტის ყოფილმა რეზერვისტმა, ვინმე აარონ ალეკსისმა ატეხა. ის ფლოტში ადრე მსახურობდა, საიდანაც ცუდი მოქცევის გამო დაითხოვეს. ბოლოს ინტერნეტ-კომპანიაში მუშაობდა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეკვეთებს ასრულებდა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

დასავლეთი და რუსეთი სირიის „ქიმიურ„ რეზოლუციაზე ისევ ვერ თანხმდებიან

ივა შილაკაძე

ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა გაეროს უშიშროების საბჭოს უკვე წარუდგინა ინსპექტორების დასკვნა სირიაში ქიმიური იარაღის, კერძოდ ზარინის, გამოყენების შესახებ, რასაც სამხედრო დანაშაული უწოდა. შემდეგ მან ამის შესახებ ჟურნალისტებთანაც ისაუბრა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

მრავალენოვანი „ოსკარი„

ცნობილია „გრძელი ნათელი დღეების“ რამდენიმე კონკურენტი ფილმი

ია ვეკუა

ხვალ ჩვენს გაქირავებაში რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზიორი ქართული ფილმი „გრძელი ნათელი დღები“ გამოდის. მას ჩვენი მაყურებლის გარდა ამერიკის კინოაკადემიის წევრებიც ნახავენ, რადგან სწორედ მათ მოუწევთ ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ნამუშევრის შეფასება და ვერდიქტის გამოტანაც - იმსახურებს თუ არა ეს ფილმი „ოსკარის“ ნომინაციის საუკეთესო ხუთეულში მოხვედრას.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

„ორი ცხოვრება“

უძველესი მეღვინეობის კერა საქართველოში

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა

დღეს, 18 სექტემბერს, 12:00 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე და ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი საზოგადოებას წარუდგენენ ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებულ არქეოლოგიურ აღმოჩენებს ქვემო ქართლში (სოფ. იმირი).

ძეგლის შესწავლა ეტაპობრივად სხვადასხვა წლებში მიმდინარეობდა. 1960-ან წლებში არქეოლოგიური სამუშაოები სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ალექსანდრე ჯავახიშვილისა და ოთარ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით დაიწყო.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

„მაესტროში» ბომბის არსებობის შესახებ განხორციელებული ზარის ავტორი არასრულწლოვანია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ტელეკომპანია „მაესტროში» ბომბის არსებობის შესახებ განხორციელებული ზარის ავტორი არასრულწლოვანია.

როგორც შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ტელეკომპანია „მაესტროში“ შს სამინისტროს გამნაღმველებმა მუშაობა დაასრულეს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ შეტყობინება ცრუ იყო, ასაფეთქებელი მოწყობილობა ტელეკომპანიის შენობაში არ აღმოჩნდა.

ტელეკომპანია „მაესტროს“ შენობაში ბომბის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინება შს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში გუშინ, 14:00 საათზე შევიდა.

დადგენილია, რომ ტელეკომპანიაში ბომბის არსებობის შესახებ ზარი არასრულწლოვანმა განახორციელა.

გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). გამოძიებას დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველო აწარმოებს.

მიხეილ სააკაშვილი - ხელისუფლება აპირებს ქუთაისის, როგორც ქალაქის დაკვლას

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, ახალი ხელისუფლება ქუთაისის, როგორც ქალაქის „დაკვლას“ აპირებს.

როგორც სააკაშვილმა გუშინ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში სტუმრობისას განაცხადა, აღნიშნულზე მიუთითებს პარლამენტის თბილისში დაბრუნების იდეა.

ამასთან, ქვეყნის პირველი პირის შეფასებით, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლით, აღმშენებლობის ეპოქა ნგრევის ეპოქამ შეცვალა.

„ვამაყობ ამ აეროპორტით და იმ ხალხით, ვინც ეს გააკეთა. ეს აეროპორტი დროზე მოვასწარით, ესაა პროდუქტი აღმშენებლობის ეპოქის, რომელიც შეცვალა ნგრევის ეპოქამ. ხვალ აპირებენ ქუთაისის, როგორც ქალაქის დაკვლას. გააჩერეს ახალი თბილისის პროექტი, რომლითაც დედაქალაქი ამოისუნთქავდა, გააჩერეს სამეგრელოს მთავარი პროექტი - ლაზიკა, გააჩერეს ბათუმის და საქართველოს მთავარი პერსპექტივა - ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და ახლა აპირებენ ქუთაისიდან პარლამენტის გადატანას ხვალინდელი კენჭისყრით, რაც ნიშნავს მცდელობას, რომ ჰაერში აფრენილი ქუთაისი იქედან ჩამოაგდონ ერთი გასროლით. ვფიქრობ, ეს არ გამოვა. ეს აეროპორტი სიმბოლოა, რომ ქუთაისს მომავალი აქვს,“ - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

გუშინვე საქართველოს პრეზიდენტმა კოპიტნარის აეროპორტის მშენებლობაში შეტანილი წვლილისთვის პროექტის ავტორები და არქიტექტორები დაჯილდოვა. მათ შორის, გიორგი კარბელაშვილსა და ჰოლანდიელ არქიტექტორს - ბრწყინვალების ორდენები, ხოლო პროექტში მონაწილე კიდევ 9 პირს ღირსების ორდენები გადაეცათ.

ზურაბ ხარატიშვილმა ცესკო-ში მხარდამჭერთა ხელმოწერები წარადგინა

პრეზიდენტობის კანდიდატ ზურაბ ხარატიშვილის წარმომადგენლებმა ცესკო-ში მხარდამჭერთა ხელმოწერები წარადგინეს.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხარატიშვილის ოფიციალურად დარეგისტრირებაზე საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

პრეზიდენტობის კანდიდატებს მხარდამჭერთა ხელმოწერების წარდგენის ვადა გუშინ 17 სექტემბერს ამოეწურათ.

ცნობისათვის - ოფიციალურად დასარეგისტრირებლად პრეზიდენტობის კანდიდატებმა ცესკო-ს 26 ათასი ხელმოწერა უნდა წარუდგინონ.

სემეკ-ს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) თავმჯდომარედ ირინა მილორავა დაინიშნა. მილორავას დანიშვნის შესახებ პრემიერ-მინისტრის ბრძანება 17 სექტემბრით თარიღდება.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაინიშნოს ირინა მილორავა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ,“ - ნათქვამია პრემიერის ბრძანებაში.

ირინა მილორავამ სემეკის თავმჯდომარის პოსტზე გურამ ჩალაგაშვილი შეცვალა. ამ უკანასკნელს უფლებამოსილებს ვადა 30 აგვისტოს ამოეწურა.

რაც შეეხება მილოროვას, ის აქამდე ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს (ესკო) ხელმძღვანელობდა.

საქართველოს პარლამენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პარლამენტის წევრის ნუგზარ წიკლაურის მამის

მათე წიკლაურის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მას.

საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს სამსახურიდან ათავისუფლებენ

პირველი გვერდიდან

საკრებულოს თავმჯდომარის თხოვნის საპასუხოდ ითქვა, რომ საკრებულოდან 2010 წელს 50-დან 60-მდე თანამშრომელი გაათავისუფლეს.

„მატყუარა და ფლიდი დამოკიდებულებით ცდილობენ „ნაციონალები“, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ. საკრებულოში ასეთი სიტუაცია დასრულდა. ყველა გადაწყვეტილება ფართო განხილვის შემდეგ მიიღება,“ - აღნიშნა შიხიაშვილმა.

რიგგარეშე სხდომას «ნაციონალური მოძრაობის“ 22-ვე წევრმა პოლიტიკური ბოიკოტი გამოუცხადა.

როგორც «ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, პროტესტის მიზეზი სამსახურიდან თანამშრომლების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაა.

სხდომის დასაწყისში ფრაქცია «ნაციონალური მოძრაობა-ძველი ქალაქის“ თავმჯდომარემ მამუკა ახვლედიანმა განცხადება გააკეთა, რის შემდეგაც «ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის“ წევრებმა სხდომა დატოვეს.

ახვლედიანის განმარტებით, გუშინდელი სხდომა რეგლამენტის უხეში დარღვევით იყო მოწვეული. მისი ინფორმაციით, სხდომის დღის წესრიგი უმცირესობისთვის მხოლოდ წინა საღამოს გახდა ცნობილი, რის გამოც განსახილველ საკითხებს სათანადოდ ვერ გაეცნენ.

ამასთან, ახვლედიანმა დღის წესრიგში შეტანილი ის საკითხი გააპროტესტა, რომელიც საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში ცვლილებას ეხება. მისი განმარტებით, საკრებულოში აპარატის თანამშრომლებს პოლიტიკური ნიშნით ამცირებენ. ახვლედიანმა განაცხადა, რომ თითოეული ასეთ შემთხვევა საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდება.

აღნიშნული განცხადების შემდეგ ახვლედიანმა სხდომა ფრაქციის სამ წევრთან ერთად დატოვა. ფრაქციის დანარჩენები წევრები კი სხდომაზე თავიდანვე არ გამოცხადებულან.

მამუკა ახვლედიანის საპასუხოდ ითქვა, რომ საკრებულოში საშტატო რეორგანიზაცია კანონის სრული დაცვით მიმდინარეობს. საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილის განცხადებით, დღევანდელ სასამართლოში სიმართლის გასარკვევად მეტი შესაძლებობაა.

თანამშრომლების გათავისუფლების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას საკრებულოს თავმჯდომარე რეორგანიზაციით ხსნის და ნეპოტიზმს გამორიცხავს. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები სრული აბსურდია და პოლიტიკური ნიშნით საკრებულოში არავინ გაუთავისუფლებიათ.

„ფრაქცია „ნაცმოძრაობის“ წევრები საკრებულოს სხდომაზე რომ დარჩენილიყვნენ, მოუწევდათ პასუხის გაცემა კითხვაზე, წლების განმავლობაში მძღოლი საკრებულოში მთავარ სპეციალისტად რატომ იყო გაფორმებული; რატომ იყო ნარკოტიკების მოხმარებისთვის დაკავებული ნარკომომხმარებელი საკრებულოს აპარატის თანამშრომელი, რატომ იღებდნენ ადამიანები 4 000-ლარის ოდენობის თანხებს, რატომ აქვთ ადამიანებს წლის მანძილზე ხელფასის სახით 20-25 000 ლარი მიღებული, როდესაც საკრებულოში წლების განმავლობაში საერთოდ არ დადიოდნენ. მათ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევდათ. როცა ნეპოტიზმზე საუბრობენ, უნდა გაიხსენონ 2010 წელი და ის, თუ რა წესით გაათავისუფლეს იმ პერიოდში თანამშრომლები,“ - განაცხადა ირაკლი შიხიაშვილმა.

„ქართული ოცნება„ საკონსტიტუციო უმრავლესობისთვის საჭირო კვორუმის დასაწევად იბრძვის

საკომიტეტო მოსმენის შემდეგ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საკონსტიტუციო ცვლილების იმ პროექტის განხილვის დაწყება ახლოვდება, რომელიც კონსტიტუციაში შესწორების შეტანას გაამარტივებს. 2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, რომელიც ახლად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე ამოქმედდება, კონსტიტუციაში შესწორების შესატანად პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეოთხედის მხარდაჭერაა საჭირო. საპარლამენტო უმრავლესობას დღეს მოქმედი ნორმის შენარჩუნება სურს. პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განსახილველად მომზადებული პროექტის მიხედვით, საკონსტიტუციო ცვლილებისთვის ორი მესამედის მხარდაჭერა საკმარისია.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძის ინფორმაციით, საკონსტიტუციო ცვლილების ორი პროექტი, რომლებიც მთავრობის უფლებამოსილების შემცირებას და საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად საჭირო კვორუმის დაწევას ეხება, მიმდინარე კვირაში პლენარულ სხდომაზე განიხილება. **„იმედი მაქვს, უმცირესობის რიგებში რამდენიმე გონიერი ადამიანი მოიძებნება, ვინც ცვლილებებს მხარს დაუჭერს,“** - აღნიშნავს ვახტანგ ხმალაძე.

ხმალაძე პრეზიდენტის კრიტიკასაც პასუხობს. მიხეილ სააკაშვილის აზრით, თუ უმრავლესობამ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილების გატანა მოახერხა, საქართველოში პროგრესი საბოლოოდ გაჩერდება და ხელისუფლების უზურპაცია მოხდება. **„კვორუმის ორ მესამედზე დაყვანა პრემიერ-მინისტრს შესაძლებლობას მისცემს, მთავარი გადაწყვეტილებების კონცენტრაცია არაფორმალურად მის ხელში იყოს,“** - მიიჩნევს პრეზიდენტი.

ხმალაძის შეფასებით, პრეზიდენტის პოზიცია და კრიტიკა სრულიად არალოგიკურია. **„პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამას ბიძინა ივანიშვილი იმის გამო აკეთებს, რომ თავის თავზე მორგება უნდა. ამ დროს, ეტყობა, დაავიწყდა ივანიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ პრემიერი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თანამდებობიდან წასვლას აპირებს. კონსტიტუციას ვინ ირგებდა თავის თავზე მთელი 9 წლის განმავლობაში, ამას ყველა ხედავდა. წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც განვაცხადეთ და ამის შემდეგაც არაერთხელ გვითქვამს, რომ უნდა მოვაწესრიგოთ წონასწორობა სხვადასხვა სახელისუფლებო განშტოებათა შორის. ამ მიმართულებით კონსტიტუციაში რამდენიმე ცვლილება უკვე შევიტანეთ,“** - ამბობს ვახტანგ ხმალაძე.

კომიტეტის თავმჯდომარე დღეს არსებული კვორუმის შენარჩუნების მიზნით დაგეგმილი ცვლილებების მიზეზად კონსტიტუციაში დარჩენილ ხარვეზებს მიიჩნევს. **„კონსტიტუციაში ბევრი რამ არის გამოსასწორებელი. თუკი კვორუმი სამ მეოთხედამდე გაიზრდება, მაშინ „ნაციონალურ მოძრაობას“ ცვლილებების შინაარსზე ვაჭრობის შესაძლებლობა დარჩება - ცვლილებებს მხარი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭირონ, თუ პოლიტიკურ სარგებელს მიიღებენ,“** - აღნიშნავს ხმალაძე.

საპარლამენტო უმცირესობა საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის ხმის მიცემას არ აპირებს. როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიორგი ბარამიძემ თქვა, კონსტიტუციის გადახედვისთვის კვორუმის გაზრდა მონაპოვარია, რასაც თავის დროზე დღევანდელი სახელისუფლებო პოლიტიკური ძალები ითხოვდნენ და მხარს უჭერდნენ. **„უმრავლესობას კვორუმის შემცირების საკითხზე არც ერთი საღი არგუმენტი არ გააჩნია. დღეს ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალები ოპოზიციაში ყოფნის დროს ამბობდნენ, რომ არ შეიძლება, ერთმა პოლიტიკურმა ძალამ საქართველოს და კონსტიტუციის ბედი ორი მესამედით გადაწყვიტოს. ამიტომ, ჩვენ თავის დროზე ევროსაბჭოსთან და ვენეციის კომისიასთან მუშაობის შედეგად, მათი ეს პოზიცია გავიზიარეთ,** - აღნიშნავს ბარამიძე.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ ლევან ბეჟაშვილის აზრით, ამ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება ქვეყნისთვის სახიფათო და უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. ბეჟაშვილი დაგეგმილი ცვლილების მოტივების შესახებ საუბრობს. **ჩვენი ინფორმაციით, უმრავლესობას კონსტიტუციური კვორუმი არ აქვს. კვორუმის დაწევა საპარლამენტო უმრავლესობას თითოეული საკონსტიტუციო ცვლილების მიღებისას ხმების მოპოვებას გაუადვილებს,“** - ამბობს ბეჟაშვილი.

პარლამენტარი უმრავლესობას მოუწოდებს, ვენეციის კომისიის დასკვნას დაელოდოს, რომელიც ოქტომბრის დასაწყისში გამოქვეყნდება.

საკუთარი ინფორმაცია

ცესკო-ში მხარდამჭერთა სიების წარადგენის პროცესი დასრულდა

გუშინ, 18:00 საათზე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტობის კანდიდატობის მსურველების მიერ მხარდამჭერთა სიების შეტანის პროცესი დასრულდა. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციას განცხადებით სულ 54-მა მსურველმა მიმართა. თუმცა, მხარდამჭერთა სიები პრეზიდენტობის კანდიდატობის მხოლოდ 26-მა მსურველმა წარადგინა, აქედან 11 პოლიტიკური პარტიაა და 15 - საინიციატივო ჯგუფი. რეგისტრაციაზე უარი ეთქვა კანდიდატობის 29 მსურველს. 17 სექტემბრის მდგომარეობით, პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირდნენ: მიხეილ სალუაშვილი; ნესტან კირთაძე; შალვა ნათელაშვილი; სერგო ჯავახიძე; გიორგი ლილუაშვილი; გიორგი მარგველაშვილი; ნინო ბურჯანაძე; ლევან ჩაჩუა; ავთანდილ მარგიანი; გიორგი თარაგამაძე; კობა დავითაშვილი და დავით ბაქრაძე.

გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან მორიგი შეხვედრა გაიმართა. ცესკო-ს ინიციატივითა და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მხარდაჭერით ორგანიზებულ შეხვედრას საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ესწრებოდნენ. მონაწილეებმა მიმდინარე აქტუალური საარჩევნო საკითხები განიხილეს.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან წინასაარჩევნო აგიტაციაში პედაგოგთა მონაწილეობის შეზღუდვა მოითხოვეს.

გუშინდელ შეხვედრას ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე თამარ ჟვანია პირველად წარუძღვა. მან მონაწილეებს ცესკო-ში მიმდინარე პროცესები გააცნო. შეხვედრაზე ასევე საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების, ამომრჩეველთა მაქსიმალურად ინფორმირების გზების და ეთნიკური უმცირესობების არჩევნებში ჩართულობის უზრუნველყოფის შესახებ იმსჯელეს. ცესკო-ს კოორდინაციისა და მართვის დეპარტამენტის უფროსმა სოფიო სიჭინავამ ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით უკვე განხორციელებული და დაგეგმილი საქმიანობების პრეზენტაცია წარადგინა.

პოლიტიკურ პარტიებთან ცესკო-ს მიერ ინიცირებული შეხვედრები პერმანენტულ ხასიათს ატარებს და ორ კვირაში ერთხელ იმართება.

გარდა ამისა, თამარ ჟვანია გუშინ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შეხვდა. როგორც პრემიერის «ფეისბუქის“ ოფიციალური გვერდი იუწყება, შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. პრემიერმა თამარ ჟვანიას ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩევა მიულოცა და წარმატებები უსურვა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ოკუპანტები სოფელ დიცს ყოფენ

პირველი გვერდიდან

„2013 წლის მაისიდან დიცის მკვიდრნი ხშირად ჩივიან ღობეების აღმართვისა და მისი შედეგების გამო, რაც ზღუდავს მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლებას და საყოფაცხოვრებო პირობებს, როგორიც არის ნაკვეთებსა და წყალზე წვდომა,“ - ნათქვამია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

მისია რეგიონში შექმნილ ვითარებაზე მონიტორინგს გააგრძელებს.

ოკუპირებული ტერიტორიის პერიმეტრზე, სოფელ დიცთან, მინდორში საქართველოს შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებსა და ოსურ მხარეს შორის გამართული მოლაპარაკება თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, თუმცა კონკრეტული შედეგი მიღწეული არ არის.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ოსურ მხარეს კომენტარი არ გაუკეთებია. შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე კახა ქემოკლიძე აცხადებს, რომ კონკრეტული შედეგი მიღწეული არ არის და რუსი სამხედროები სასაზღვრო-სადემარკაციო სამუშაოებს კვლავ გააგრძელებენ, თუმცა, ქემოკლიძე აღნიშნავს, რომ სოფლის განაპირას მდებარე სასაფლაო ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე აღარ მოექცევა.

ამგვარი გადაწყვეტილების მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილოა, რადგან სასაფლაოსთან მისასვლელი გზა ქართული მხარის კონტროლს აღარ დაექვემდებარება. შესაბამისად, მათი თქმით, აზრს კარგავს ის ფაქტი, მოექცევა თუ არა სასაფლაო რუსი სამხედროების მიერ გავლებული ლითონის ბადეების მიღმა.

გარდა ამისა, ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის თქმით, ოსურ მხარეს ჯერჯერობით არ გაუცია კონკრეტული პასუხი, თუ რა ბედი ელის ქართველების იმ სამ საცხოვრებელ სახლს, რომლებიც ამ ე.წ. საზღვრის პერიმეტრზე მდებარეობს.

ინციდენტების პრევენციის ფორმატში მონაწილე ოსური ჯგუფის წარმომადგენელი რობერტ გაზაევი დიცის მკვიდრმა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში დაადანაშაულა, თუმცა გაზაევი ამ ფაქტს უარყოფს. ამასთან, რობერტ გაზაევი დღის მეორე ნახევარში, ისევე როგორც მთელი დღის განმავლობაში, ქართული მედიის მიმართ კვლავ განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა. დიცში ჩავიდა შიდა ქართლის გუბერნატორი ზურაბ ჩხეიძე, რომელიც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის ოფისის ხელმძღვანელს ესაუბრა და სთხოვა, რომ დიცში არსებული მდგომარეობა საერთაშორისო საზოგადოების ფართო განხილვის საგანი გახდეს და ამის შესახებ ინფორმაცია ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას მიეწოდოს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაძლოა, ოკუპირებული ტერიტორიის პერიმეტრზე, სოფელ დიცთან, პატრულირება გააძლიეროს.

ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ განაცხადა.

„ჩვენ ადგილობრივ მოსახლეობას ამ ტერიტორიაზე გადასვლას შეგნებულად არ ავუკრძალავთ. ეს რა თქმა უნდა, არ არის სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია. რაც შეეხება დაცვას, აქ შესაძლებელია, პატრულირება გაძლიერდეს, რათა მოსახლეობას შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან უფრო აქტიური შეხება ჰქონდეს და, შესაბამისად, უსაფრთხოების განცდა უფრო მაღალ დონეზე იყოს,“ - აღნიშნა ქემოკლიძემ.

მისივე თქმით, არც ერთ დე ფაქტო თუ დე იურე სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელს არა აქვს უფლება, ვინმეს შეურაცხყოფა მიაყენოს. როგორც მან აღნიშნა, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის შეურაცხყოფა სახელმწიფო სტრუქტურების შეურაცხყოფაა.

გუშინ, გვიან საღამოს, სოფელ დიცში მშვიდი ვითარება იყო.

ეუთო-ს მისია და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, მონტენეგროს პარლამენტის თავმჯდომარე რანკო კრივოკაპიჩი გუშინ, საქართველოში ვიზიტის მეორე დღეს, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძეს და პარლამენტის წევრებს შეხვდა.

ფანჯიკიძე ამბობს, რომ ასამბლეის დელეგაციის ვიზიტის მთავარი თემა 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები იყო. მინისტრის შეფასებით, წინასაარჩევნო პროცესის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების გამოხმაურება დადებითია. როგორც ფანჯიკიძე აღნიშნავს, ეუთო-ს გრძელვადიანი დამკვირვებლები პირველ კომენტარს აკეთებენ იმის შესახებ, რომ საქართველოში საარჩევნო გარემო შარშანდელ წინასაარჩევნო გარემოსთან შედარებით უკეთესია. მისივე თქმით, ეუთო-ს დელეგაცია საქართველოში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებს დააკვირდება.

„სასიხარულოა, რომ საქართველოში ეუთო-ს ბევრი დამკვირვებელი ჩამოდის, რადგან ჩვენი მიზანი თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნები ჩატარებაა. ამას ყველაზე კარგად სწორედ ისინი შეაფასებენ,“ - მიიჩნევს მაია ფანჯიკიძე.

შეხვედრაზე, ბუნებრივია, საქართველოში ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის აღდგენის საკითხი იყო განხილული, რომელის ფუნქციონირებაც რუსეთმა დაბლოკა. როგორც ფანჯიკიძე ამბობს, დღეისთვის საქართველოში ეუთო-ს მისიის დაბრუნების რამდენიმე ვარიანტი განიხილება და მათ უმეტესობას რუსეთი ჯერჯერობით ბლოკავს.

თუმცა, მინისტრი საქართველოში ეუთო-ს რომელიმე ინსტიტუტის დასაფუძნებლად რამე გამოსავლის გამონახვას არ გამორიცხავს. **„რამდენიმე იდეა არსებობს. ჩვენ ამაზე ვმუშაობთ. პირველ ეტაპზე შეიძლება, საქართველოში ეუთო-ს რომელიმე ინსტიტუტის დაფუძნების შესახებ იყოს საუბარი. მაგრამ, პოლიტიკური განზომილებიდან გასათვალისწინებელია, როგორი სახით იქნება ეს ყველაფერი, რათა არ დავუშვათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის დარღვევა რაღაც სახით, თუნდაც მისიის სახელწოდებაში ჩვენთვის მიუღებელი ტერმინის გამოყენებით,“** - აღნიშნავს მაია ფანჯიკიძე.

რუსეთის ქმედებების შესახებ ისაუბრეს რანკო კრივოკაპიჩთან შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის წევრებმა. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე სოფელ დიცში საოკუპაციო ხაზის მონაკვეთზე შექმნილ ვითარებას რუსეთის დესტრუქციული ქმედებების გაგრძელებად აფასებს. როგორც დოლიძე ამბობს, მან ეს საკითხი ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან შეხვედრაზე დააყენა. **„რუსეთის ასეთი დესტრუქციული ქმედებების ფონზე საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება მნიშვნელოვანია. ჩვენი ყველა რესურსი სწორედ იმისკენ არის მიმართული, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთზე ზეწოლა გააძლიეროს. თავის მხრივ, რუსეთის მხრიდან ადგილი აქვს სრულიად გაუგებარ ქმედებებს, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობებით დაწყებული, უსაფრთხოების თემებზე თანამშრომლობის სურვილით დასრულებული, საქართველომ თანამშრომლობისთვის სრული მზადყოფნა გამოხატა,“** - ამბობს ვიქტორ დოლიძე.

კრივოკაპიჩთან შეხვედრაზე არ განუხილავთ, თუმცა ჟურნალისტებთან საუბარში საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთთან დაკავშირებულ კიდევ ერთ თემას შეეხო.

საქმე ის არის, რომ სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ჟურნალისტებისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო ფორმაში რუსეთის ფედერაციის ოლიმპიურმა კომიტეტმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად მიუთითა.

მაია ფანჯიკიძე ამბობს, რომ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ამ ფაქტის შესახებ წერილი უკვე გაუგზავნა.

„საგარეო საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ ბაზასთან წვდომის საშუალება არ აქვს, რომელიც, როგორც ჩანს, მხოლოდ ჟურნალისტებისთვის არის ხელმისაწვდომი. როგორც კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან პასუხი იქნება, საგარეო საქმეთა სამინისტრო ფაქტებზე დაყრდნობით შესაბამის რეაგირებას მოახდენს,“ - აცხადებს მაია ფანჯიკიძე.

რაც შეეხება სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის საკითხს, როგორც ფანჯიკიძე აღნიშნავს, საქართველო ოლიმპიადას ბოიკოტს არ უცხადებს, რაც ქართული მხრიდან დადებითი ჟესტია და ეს რუსეთის მხარემ დადებითად აღიქვა.

„როდესაც ამ გადაწყვეტილებას ვახმოვანებდით, ვთქვით, რომ იმედი გვაქვს, იმ ტიპის პროვოკაციები არ იქნება, რომლის შესახებაც ამჟამად არის საუბარი. ვიმედოვნებთ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შეურაცხყოფის ფაქტები არ იქნება,“ - აღნიშნავს მაია ფანჯიკიძე.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, ასამბლეის გენერალურ მდივან სპენსერ ოლივერთან ერთად, საქართველოს პრემიერ-მინისტრსაც შეხვდა. ბიძინა ივანიშვილმა დელეგაციის წევრებთან ასამბლეასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილა.

პრემიერის პრესსამსახურის ცნობით, ივანიშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ეუთო-ს მისიას საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანად და ევროპული სტანდარტების შესაბამისად ჩატარებაში უდიდესი როლი ენიჭება. ივანიშვილმა სტუმრებს საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებელთა დელეგაციის გამოსაგზავნად მზადყოფნისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე განხილვის თემა ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული ვითარება იყო.

საკუთარი ინფორმაცია

პარლამენტი ცრუ შეტყობინებაზე რეაგირებს

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი განცხადებას ავრცელებს, რომელშიც სპიკერი ასაფეთქებელი მოწყობილობის შესახებ ცრუ სატელეფონო შეტყობინებით გამოწვეული ზიანის შესახებ საუბრობს. როგორც უსუფაშვილი აღნიშნავს, ბოლო ხანებში ცრუ შეტყობინების გამო პარლამენტის შენობა სამჯერ დაიცალა. **„ჯამში, პარლამენტის ნორმალური ფუნქციონირება 15 საათის განმავლობაში შეწყდა, რამაც, წინასწარი მონაცემებით, პარლამენტს, მორალურ-პოლიტიკურთან ერთად, 50 000 ლარამდე ოდენობის ქონებრივი ზიანი მიაყენა,“** - აღნიშნავს უსუფაშვილი. თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარე ზიანის დათვლის მეთოდის შესახებ არ საუბრობს.

დავით უსუფაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართავს, რომ მან პარლამენტს ცრუ შეტყობინების ავტორთა (არასრულწლოვნების შემთხვევაში, მათი მშობლების) მონაცემები მიაწოდოს, რათა, საქმის სასამართლოში განხილვის პარალელურად, პარლამენტისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სამოქალაქო სარჩელი მომზადდეს.

ტერორისტული აქტის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე კანონმდებლობის გამკაცრების ინიციატივით კი შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უკვე გამოვიდა. მისი ინფორმაციით, შსს კანონის გამკაცრების მიზნით ახალ საკანონმდებლო ინიციატივას ამზადებს. ღარიბაშვილს იმედი აქვს, რომ საკანონმდებოლო ცვლილებას პარლამენტი ფორსირებულად მიიღებს. მისი თქმით, ცვლილების ამოქმედების შემდეგ ყველა ცრუ შეტყობინების ავტორი მკაცრად დაისჯება.

ღარიბაშვილის ინიციატივას „ხალხის პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატი, პარლამენტარი კობა დავითაშვილი უარყოფითად აფასებს. მისი აზრით, კანონის გამკაცრება პრობლემას ვერ უშველის. **არა მგონია, რომ დღეს მოქმედი სანქცია მსუბუქი იყოს, თუკი მას გამოიყენებენ. მე ცხელ გულზე კანონის გამკაცრების მომხრე არ ვარ. რა თქმა უნდა, ცრუ შეტყობინება მოსაწონი საქციელი არ არის, მაგრამ, ამავე დროს, არასწორი იქნება, პარლამენტმა ყველაფერზე, რაზეც გაბრაზდება, კანონი გაამკაცროს,“** - აღნიშნავს კობა დავითაშვილი.

საკუთარი ინფორმაცია

რიჩარდ ნორლანდი - ქართული საზოგადოება მზად არის, უფრო მეტად ინსტიტუციებს დაეყრდნოს, ვიდრე ერთ ლიდერს

ქართული საზოგადოება მზად არის, უფრო მეტად დაეყრდნოს დემოკრატიულ ინსტიტუციებს, ვიდრე ერთ კონკრეტულ ლიდერს, - ამის შესახებ აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა ზუგდიდში, ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.

ელჩმა წინასაარჩევნო პერიოდის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ სიტუაციიდან გამომდინარე, მშვიდ საარჩევნო პროცესს ელოდება.

რიჩარდ ნორლანდმა საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდიც გაიხსენა, როდესაც, მისი თქმით, ძალადობის გარკვეული საფრთხე არსებობდა.

„ივლისში, პრაიმერის დროს გვქონდა ბოთლებისა და ქვების სროლის შემთხვევა, მაგრამ, დაახლოებით, ერთი კვირის წინ გამართულმა შეხვედრამ მშვიდობიანად ჩაიარა. მოსმენილი შეფასებებიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, არჩევნების პროცესი მშვიდობიანად ჩაივლის. ამაში საზოგადოებაც დარწმუნებულია. ძალიან მოხარული ვარ პოლიციის დამოკიდებულებით ამ არჩევნებისადმი იმ თვალსაზრისით, რომ პოლიცია მზად არის, აღკვეთოს შესაძლო დარღვევები. თუმცა, თავისთავად, პოლიცია სრულ ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებს და არჩევნების პროცესში პოლიციის მხრიდან სრული ჩაურევლობა იქნება. რამაც ყველაზე მეტად გამახარა, ეს ქართველი ხალხის რწმენაა - ქართული საზოგადოება მზად არის, უფრო მეტად დაეყრდნოს დემოკრატიულ ინსტიტუციებს, ვიდრე ერთ კონკრეტულ ლიდერს ან ერთ არჩეულ პირს,“ - განაცხადა ელჩმა და აღნიშნა, რომ საქართველოს სრული დემოკრატიულობის მისაღწევად ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

აშშ-ს ელჩი ზუგდიდში წინასარჩევნო გარემოს გაცნობის მიზნით ორი დღის განმავლობაში იმყოფებოდა. რიჩარდ ნორლანდი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, ოფიციალურ პირებს, არასამთავრობო სექტორს და ჟურნალისტებს შეხვდა.

ბარათაშვილი „საზმაუს“ დირექტორობისთვის ისევ იბრძვის

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ყოფილი დირექტორი გიორგი ბარათაშვილი ბორდის გადაწყვეტილებას სასამართლოში მეორედ ასაჩივრებს. ბარათაშვილი თანამდებობაზე აღდგენას ითხოვს.

ბარათაშვილის თქმით, გადაწყვეტილების მიღების დროს ადგილი ჰქონდა დარღვევებს.

ბორდის თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე კი აცხადებს, რომ ბარათაშვილის სამართლიანობის თავისებური გაგება აქვს.

სოზარ სუბარმა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ამოღებული ნივთები წარმოადგინა

სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ამოღებული ნივთები ჟურნალისტებს წარუდგინა.

სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე მინისტრმა განაცხადა, რომ 1 ოქტომბრიდან დღემდე სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებებიდან ამოღებულია ხელნაკეთი დანები, მობილური ტელეფონები, ციხეში დამზადებული ალკოჰოლური სასმელები, ე.წ. ბრაგა, კუსტარულად დამზადებული „ტატუს“ გასაკეთებელი აპარატი, ხელნაკეთი მადუღარები, კუსტარულად დამზადებული ბანქო და ა.შ.

ამასთან, გუშინვე უწყების ხელმძღვანელმა მედიას წარუდგინა სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აკრძალული საგნების, თანამშრომლებზე თავდასხმის, მსჯავრდებულთა მიერ ერთმანეთის ჯანმრთელობის დაზიანების და სხვისი ნივთების დაზიანების ფაქტზე სულ აღძრულია 202 სისხლის სამართლის საქმე.

სოზარ სუბარის განცხადებით, პერმანენტული ოპერატიულ-სარეჟიმო ღონისძიებების შედეგად, აკრძალული საგნების აღმოჩენისა და შენახვის ფაქტზე აღძრულია 103 საქმე, 20 შემთხვევაში გამოძიება უკვე დასრულებულია და სასამართლო გადაწყვეტილებით დამდგარია შესაბამისი განაჩენი.

ადმინისტრაციაზე თავდასხმა-დაუმორჩილებლობის ფაქტზე აღძრულია 26 სისხლის სამართლის საქმე.

მინისტრის თქმით, ყველა გამოვლენილ შემთხვევაზე ადეკვატური რეაგირება განხორციელდა. ამასთან, მისი ინფორმაციით, აღნიშნული დროის მონაკვეთის განმავლობაში აღიძრა 39 საქმე მსჯავრდებულების მიერ ერთმანეთის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე. მსჯავრდებულების მიერ ერთმანეთის ნივთების დაზიანების ფაქტზე კი აღძრულია 34 სისხლის სამართლის საქმე.

კახეთში მიწისძვრის შედეგებს სპეციალური ჯგუფები შეისწავლიან

კახეთის გუბერნატორ ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, იმის შესასწავლად, თუ რა შედეგები მოჰყვა გუშინ დაფიქსირებულ მიწისძვრას, სოფლებში სპეციალური ჯგუფები იმუშავებენ.

„არსებული ინფორმაციით, მიწისძვრას რაიმე სერიოზული ნგრევა არ მოჰყოლია. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში დაზიანდა სახლების სახურავი და კედლები დაიბზარა, თუმცა უფრო ზუსტი ინფორმაცია მოგვიანებით გვეცოდინება,“ - განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ჭიაბერაშვილმა.

საქართველოში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრში განუცხადეს, მიწისძვრის სიმძლავრემ 5,3 მაგნიტუდა შეადგინა. ეპიცენტრი ყვარელში იყო. მიწისქვეშა ბიძგები 08:09 საათზე დაფიქსირდა და რყევები დედაქალაქშიც იგრძნობოდა.

მექსიკაში სტიქიას 50 ადამიანი ემსხვერპლა

მექსიკაში ქარიშხალ «ინგრიდსა“ და ტროპიკულ შტორმ «მანუელს“ 50 ადამიანი შეეწირა. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, ჰერეროს შტატში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე, 30 ადამიანი დაიღუპა. ვერაკრუსის შტატში კი მეწყერს 12 ადამიანი ემსხვერპლა. გავრცელებული ინფორმაციით, 25 ადამიანი უგზო-უკვლოდ არის დაკარგული. «ინგრიდი“ და «მანუელი“ მექსიკას ერთდროულად ორი მხრიდან დაატყდა თავს - ატლანტისა და წყნარი ოკეანეებიდან.

ირანში «ტვიტერი“ და“ფეისბუკი“ ერთი დღით ამუშავდა

გუშინ ირანში ინტერნეტმომხმარებლებს სოციალური ქსელებით «ფეისბუკითა“ და «ტვიტერით“ (სპეციალური პროგრამების გამოყენების გარეშე) სარგებლობა შეეძლოთ, რომლებიც ქვეყანაში 2009 წელს ოპოზიციის გამოსვლების შემდეგ დაიბლოკა. «ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, ამ მომსახურებების ხელმისაწვდომობის შესახებ ინტერნეტპროვაიდერებმა განაცხადეს. ქვეყნის ხელისუფლებას კი ამ საკითხზე ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. ქვეყნის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ ადრე, არჩევნებამდე განაცხადა, რომ ცენზურის წინააღმდეგ იბრძოლებდა. მას თვითონ აქვს მიკრობლოგი «ტვიტერში». თუმცა, თავიდანვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ «ტვიტერი“ და «ფეისბუკსი“ ტექნიკური შეცდომის შედეგად «გაიხსნა». მოგვიანებით, დღის ბოლოსთვის, სწორედ ეს ინფორმაცია დადასტურდა. ტექნიკური პრობლემის შესახებ ისაუბრეს ირანულმა სახელმწიფო მედიასაშუალებებმა. საღამოსთვის კი ირანში შესაბამისმა სამსახურებმაა «ფილტრები შეაკეთეს» და აღნიშნული სოციალური ქსელები ისევ დაიბლოკა.

ესპანეთში ისლამისტი შეიარაღებული მებრძოლების ქსელის ლიდერი დააკავეს

ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ორშაბათს განაცხადა, რომ ესპანეთში არსებული ისლამისტი შეიარაღებული მებრძოლების ქსელის სავარაუდო ლიდერი იასინ აჰმედ ლაარბი დააკავეს. ივნისში ამ ქსელის სხვა რვა წევრი დააკავეს. აღნიშნული ქსელი «ესპანეთშია დაფუძნებული და მაროკოსთან, თურქეთთან, სირიასთან და ბელგიასთან აქვს კავშირები. ისინი სირიაში საბრძოლველად მებრძოლების ამზადებენ და მათი მიზანი ჯიჰადის განხორციელებაა,“ - ნათქვამია ესპანელი მოსამართლის განცხადებაში. «სიენ-ენ“-ის ინფორმაციით, დაჯგუფებას «ალ ნუსრას“ ფრონტთან აქვს კავშირი, რომელიც «ალ ქაიდას“ შვილობილი ორგანიზაციაა და ამ დროისთვის სირიასა და ერაყში აქვს ფეხი მოკიდებული.

უფლებადამცველები თურქულ მედიაში არსებული ვითარებით შეშფოთებულები არიან

ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტმა თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანს ღია წერილი მისწერა, სადაც შეშფოთებას გამოთქვამენ ქვეყანაში თავისუფალი პრესის ირგვლივ შექმნილი ვითარების გამო. წერილში საუბარია, რომ ქვეყანაში გრძელდება იმ ჟურნალისტების დაჭერა და დაშინება, რომლებიც ხელისუფლებას აკრიტიკებენ. მრავალ ჟურნალისტს იმის გამო დევნიან, რომ მათ სტამბოლის გეზის პარკში გამართული დემონსტრაციები გააშუქეს. უფლებადამცველებს «ბი-ბი-სი“-ს კორესპონდენტ სელინ გირითის მაგალითი მოჰყავთ, რომელსაც ანკარის მერმა «მოღალატე“ უწოდა. ჟურნალისტის თქმით, მას ხშირად ემუქრებიან. მაისში სტამბოლში გეზის პარკის რეკონსტრუქციის გამო დაწყებული საპროტესტო გამოსვლები მალე მთელ თურქეთს მოედო და ანტისამთავრობო დემონსტრაციებში გადაიზარდა. ცოტა ხნის წინ ქვეყანაში დემონსტრაციების ტალღა კვლავ განახლდა, რაც ახალგაზრდა დემონსტრანტის სიკვდილმა გამოიწვია. გავრცელებული ინფორმაციით, დემონსტრანტს ერთ-ერთი გამოსვლის დროს თავში პოლიციის ცრემლსადენი გაზის ბალონი მოხვდა, რაც სიკვდილის მიზეზი გახდა.

ობამამ და როუჰანიმ წერილები გაცვალეს

ირანის დიპლომატიურმა უწყებამ სამშაბათს დაადასტურა, რომ ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ და ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ წერილები გაცვალეს. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კავშირი 1980 წელს გაწყდა. სამშაბათს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარზი აფკჰამმა განაცხადა, რომ ობამამ როუჰანის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ წერილი გაუგზავნა. ერთ-ერთ ინტერვიუში ამერიკის პრეზიდენტმაც აღნიშნა, რომ ირანის პრეზიდენტმა და მან წერილები გაცვალეს.

«ალ ქაიდამ“ გატაცებული უცხოელების ვიდეო გაავრცელა

«ალ ქაიდამ ისლამური მაღრიბის ქვეყნებში“ ვიდეო გაავრცელა, სადაც სხვადასხვა დროს გატაცებული შვიდი მძევლის საუბარია ჩაწერილი. ვიდეო მავრიტნულმა სააგენტომ «ანი“-მ გამოაქვეყნა. ჩანაწერში ოთხი ფრანგი, ერთი ჰოლანდიელი, ერთი შვედი და ერთ სამხრეთ აფრიკელი მძევალი ჩანს. პარიზში უკვე განაცხადეს, რომ ვიდეო, სავარაუდოდ, ნამდვილია. ვიდეოჩანაწერში ფრანგი დანიელ ლარიბი ამბობს: „მე ჯანმრთელი ვარ, თუმცა სიკვდილით დასჯა მემუქრება.“ საფრანგეთის ოთხი მოქალაქე 2010 წელს ნიგერიის ქალაქ არლიტში მდებარე ერთ-ერთი მაღაროდან გაიტაცეს, დანარჩები უცხოელები კი - 2011 წელს მალიში, ქალაქ ტიმბუკტუდან.

მოამზადა თამთა კახაძემ

ვაშინგტონში სასაკლაო ყოფილმა რეზერვისტმა მოაწყო

პირველი გვერდიდან

შესაბამისად მას ფლოტის ობიექტებზე მოქმედი საშვი ჰქონდა.

სროლის შედეგად 12 ადამიანია დაღუპულია, თორმეტივე სამოქალაქო პირია. მეცამეტე დაღუპულია თვით თავდამსხმელი, რომელიც პოლიციამ საპასუხო სროლის დროს მოკლა. დაღუპულთა ასაკი 46-დან 73 წლამდე მერყეობს. დაჭრილია კიდევ 8 ადამიანი. სამი დაჭრილი საავადმყოფოში მოათავსეს, ორ მათგანს ქირურგიული ოპერაცია დასჭირდა. სროლა სამეთაურო ცენტრის სასადილო ოთახში და დერეფანში მიმდინარეობდა. გაუგებრობა გამოიწვია თავდაპირველად გავრცელებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ თავდამსხმელს ერთი თუ ორი თანამზრახველი ჰყავდა, რომლებსაც მთელს რაიონში გამალებით ეძებდნენ. ამის შესახებ გუშინდელ ნომერში ჩვენც ვწერდით. კერძოდ, სახელდებოდა კომუფლირებულ ფორმაში ჩაცმული 40-50 წლის შავკანიანი მამაკაცი. მოგვიანებით პოლიცია დარწმუნდა, რომ აარონ ალეკსისი მარტო მოქმედებდა. ამის შესახებ ორშაბათს გვიან ღამითვე განაცხადა ვაშინგტონის პოლიციის უფროსმა კეტი ლანიერმა.

ჯერჯერობით, ბოლომდე არ გამოირიცხება ტერაქტის ვერსია, რაც თავიდან აქტიურად ფიგურირებდა, თუმცა სამართალდამცავები გუშინ ამ ვერსიისკენ უკვე თითქმის აღარ იხრებოდნენ.

პოლიცია სამეთაურო ცენტრში შეტყობინებიდან შვიდ წუთში მივიდა და თავდამსხმელი, 34 წლის აარონ ალეკსისი ტეხასის ქალაქ ფორტ უორტიდან, საპასუხო სროლით ადგილზე გაანადგურა. იმავე კეტი ლანიერის სიტყვებით: «არავითარი ეჭვი არ არის, რომ ის სროლას გააგრძელებდა, თუ არ შეაჩერებდნენ“.

თავდასხმისას აარონ ალეკსის თან ჰქონდა საბრძოლო შაშხანა არ-15 (საარმიო მ-16-ის ანალოგი), ასევე საფანტის თოფი და პისტოლეტი. მან ცეცხლი მოკლე ჯერებით გაუხსნა კაფეში მსხდომ ხალხს და შემდეგ სროლა დერეფანშიც განაგრძო. ალეკსისს თან ჰქონდა აგრეთვე ვინმე როლი ჩანსის პირადობის მოწმობა, რომელიც თითქმის წელიწადია, ადმინისტრაციულ შვებულებაში იმყოფება. ამ უკანასკნელმა პოლიციას განუცხადა, რომ ალეკსისს არ იცნობს.

თავდასხმის მოტივები დგინდება. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ აარონ ალეკსისს პოსტტრავმული სტრესის სინდრომი აწუხებდა, ის ნიუ-იორკში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტს შეესწრო. 2007-დან 2011 წლამდე სამხედრო საზღვაო ძალების აქტიურ რეზერვში იყო, საიდანაც არასტაბილური ქცევისთვის დაითხოვეს. მას რამდენიმე ინციდენტი შეემთხვა და ორჯერ დააკავეს. 2010 წელს იგი ფორტ უორტში დააკავეს ქალაქის საზღვრებში სროლის გამო. მაშინ მან გამოძიებას განუცხადა, რომ იარაღის წმენდის დროს შემთხვევით გაისროლა. 2004 წელს სიეტლში დააკავეს. მაშინ მას საყოფაცხოვრებო კონფლიქტი მოუვიდა მშენებელ მუშასთან და ამ უკანასკნელის ავტომანქანის საბურავები ტყვიებით დახვრიტა. მაშინ ალეკსისმა გამომძიებელს განუცხადა, რომ «გონება გადაეკეტა“. აარონ ალეკსისის მამამ, რომელიც ნიუ-იორკში ცხოვრობს, პოლიციას განუცხადა, რომ მისი შვილი პერიოდულად კარგავდა საკუთარი საქციელის გაკონტროლების უნარს. მისმა მეგობარმა, ვინმე მაიკლ რიტროვატომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ალეკსისი ბოლო პერიოდში უკმაყოფილო იყო თავისი ხელფასით, თუმცა მასთან საუბრისას აგრესია და ამ კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაჭრის სურვილი არასდროს გამოუვლენია. თუმცა იგივე რიტროვატოს სიტყვებით, ალეკსისი ხშირად თამაშობდა სასროლ კომპიუტერულ თამაშებს.

სროლის შესახებ პირელი ინფორმაციის გამოქვეყნებისთანავე სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამეთაურო ცენტრის გარშემო უამრავი ხალხი შეიკრიბა. ისინი შეესწრნენ დაჭრილთა ევაკუაციის ოპერაციას, რაც სასწრაფოდ განხორციელდა ბაზის თავზე დაკიდებული ვერტმფრენებით. შენობების სახურავებს მაშინ უკვე პოლიციის სპეცრაზმი აკონტროლებდა. პოლიციელებით და სპეცსამსახურების თანამშრომლებით გავსებული იყო ბაზის მიმდებარე ტერიტორია ნახევარი კილომეტრის რადიუსში. აშშ-ს დედაქალაქში ამ მასშტაბის თავდასხმას ვერ იხსენებენ. სამხედრო-საზღვაო სამეთაურო ცენტრი «ნეივალ იარდი“ ვაშინგტონის ცენტრში, მდინარე ანაკოსტიას შესართავშია განთავსებული. ეს არის ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის უძველესი სახმელეთო ობიექტი, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ფუნქციონირებს. იქ, დაახლოებით, 3 ათასი ადამიანი მუშაობს აშშ-ს საზღვაო ფლოტის გემებისა და წყალქვეშა ნავების დაპროექტებაზე, შესყიდვაზე, აგებასა და მომსახურებაზე. მასთან ახლოს მდებარეობს სენატის შენობა, რომელიც, იმ რაიონში მდებარე რამდენიმე სკოლასთან ერთად, დროებით დაიკეტა სავარაუდო დამნაშავეებს ძებნის პერიოდში.

აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ «ნეივალ იარდში“ დღუპული ადამიანების ხსოვნის პატივსაცემად გლოვა გამოაცხადა, მან ასევე სპეციალურ ბრიფინგზე სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულთა ოჯახის წევრებს. ობამამ თავისი სამძიმარი ოფიციალურად გადასცა საზღვაო ძალების სარდალს რეი მაბუსს, რომელიც ამ მიზნით თეთრ სახლში დაიბარა.

ამ თავდასხმამ ვაშინგტონში, თეთრ სახლშიც და კონგრესშიც ისევ გააააქტიურა დისკუსია იარაღის აკრძალვის თემაზე.

დასავლეთი და რუსეთი სირიის „ქიმიურ„ რეზოლუციაზე ისევ ვერ თანხმდებიან

პირველი გვერდიდან

სირიის ქიმიური განიარაღების საკითხზე კონსენსუსის მიღწევის მიუხედავად, რუსეთი და დასავლეთი მაინც სხვადასხვანაირად უყურებენ როგორც ქიმიურ შეტევაში დამნაშავის დასახელების „კრიტერიუმებს“, ასევე ამ პრობლემის გადასაწყვეტად უშიშროების საბჭოს მიერ მისაღები რეზოლუციების შინაარსსა და რაოდენობას. ყველა აღიარებს, რომ გარკვეულ სიტუაციებში ამას შეიძლება, ძალის გამოყენების ლეგიტიმაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

გაეროს ინსპექტორთა მიერ მომზადებულ დასკვნაში წერია, რომ სირიაში ქიმიური იარაღი ბოლო ორი წლის განმავლობაში, სავარაუდოდ, რამდენჯერმე გამოიყენეს და აქედან ყველაზე მასშტაბური 21 აგვისტოს დამასკოსთან, დასახლებულ პუნქტ გუტში მომხდარი შემთხვევა იყო, რასაც ბევრი ადამიანი შეეწირა, ძირთადად, მშვიდობიანი მოსახლეობა. დასკვნაში დაწვრილებით არის აღწერილი ლაბორატორიული შემოწმების შედეგები და გაკეთებულია თვითმხილველთა მონათხრობის ანალიზიც. ზარინის გამოყენება ოფიციალურად და უტყუარად დადასტურდა. გაეროს ინსპექტორთა ჯგუფის ფუნქციებში არ შედიოდა იმის განსაზღვრა, თუ ვინ გამოიყენა ეს იარაღი. მათ ამის გარკვევის ტექნიკური შესაძლებლობაც არ ჰქონიათ და შესაბამისად, ამის შესახებ დასკვნაში პირდაპირ არ არის ნათქვამი. თუმცა მოყვანილი დეტალების ანალიზის საფუძველზე პოლიტიკოსებმა და დიპლომატებმა უკვე გააკეთეს დასკვნები, ოღონდ დასავლეთის ქვეყნებისა და რუსეთის შეფასებები ერთმანეთისგან განსხვავდება. შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაეროში სამანტა პაუერმა პირდაპირ განაცხადა, რომ „გაეროს ინსპექტორთა დასკვნაში მოყვანილი ტექნიკური მონაცემები ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი მასშტაბის ქიმიური შეტევის განხორციელება მხოლოდ მმართველ რეჟიმს შეეძლო.“ მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ 122 მმ-იანი კალიბრის რაკეტები სირიის არმიის შეიარაღებაშია, ხოლო ზარინის ხარისხი იმაზე უკეთესია, ვიდრე ეს სადამ ჰუსეინის შემთხვევაში ერაყში იყო. დაახლოებით, იგივე თქვა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა: „მოხსენების ტექნიკური ნაწილიდან ჩანს, რომ შეტევაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ სირიის რეჟიმს ეკისრება.“ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისრტრმა ლორან ფაბიუსმა კი განაცხადა, რომ „...მომწამვლელი გაზის რაოდენობა, ნაერთის სირთულე, რაკეტა-მატარებლების ტრაექტორია ეჭვს არ ტოვებს, თუ ვინ განახორციელა ეს შეტევა.“ მან ეს მოსკოვში, თავის რუს კოლეგა ლავროვთან შეხვედრის წინ გამართულ პრესკონფერენციაზეც გაიმეორა. ლავროვი და ფაბიუსი მოსკოვში გაეროს რეზოლუციის ტექსტზეც ვერ შეთანხმდნენ, თუმცა ამას ქვემოთ დავუბრუნდებით.

ამერიკელი კოლეგის პოზიცია არ გაიზიარა რუსეთის წარმომადგენელმა გაეროში ვიტალი ჩურკინმა. მანაც აღიარა, რომ დასკვნაში ტექნიკური დეტალები კარგად არის წარმოდგენილი, თუმცა ქიმიურ შეტევაში დამნაშავე ზუსტად არ არის განსაზღვრული. მან თავის დასავლელ კოლეგებს მოუწოდა, შესაბამისი გამოძიების დამთავრებამდე დასკვნების გამოტანა არ იჩქარონ, ასევე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ისეთი ტექსტი არ წარმოადგინონ, რომელიც კერი-ლავროვის შეთანხმებისგან განსხვავებული იქნება.

უშიშროების რეზოლუციის ტექსტი პრინციპულ მნიშვნელობას იძენს. აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი მკაცრ რეზოლუციას მოითხოვენ, რომელიც სირიის ქიმიური განიარაღების მკაფიო ვადებს გაითვალისწინებს და გაეროს წესდების მე-7 თავს დაემყარება, რომელიც განიარაღების გეგმის დარღვევის შემთხვევაში ძალის გამოყენებას გულისხმობს (ამაზე ჩვენ გუშინდელ სტატიაშიც ვწერდით). სწორედ ამ ტექსტის შესათანხმებლად იყო ჩასული მოსკოვში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორან ფაბიუსი, თუმცა მან და ლავროვმა შეთანხმება ვერ მოახერხეს. დასავლეთის მიერ შეთავაზებული ხედვა (რეზოლუციის საბოლოო პროექტი ჯერ, სავარაუდოდ, არც არსებობს) ერთ ყოვლისმომცველ რეზოლუციას გულისხმობს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება წესდების მე-7 თავით დაშვებული „ძალის გამოყენება“, ფაქტობრივად, ავტომატურად, სირიის რეჟიმის მიერ განიარაღების პროცესის შეფერხების შემთხვევაში.

ამერიკელ კოლეგასთან მიღწეული შეთანხმების ასეთ ინტერპრეტაციას არ ეთანხმება ლავროვი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიიჩნევს, რომ მე-7 თავის „ავტომატური ამოქმედება“ არასწორია. მისი აზრით, ჯერ სირიას უნდა მიეცეს განიარაღების საშუალება. ხოლო თუ პროცესში შეფერხებები იქნება, ეს ცალკე უნდა განიხილონ, შეფერხებაზე პასუხისმგებელი მხარეც დაადგინონ და შემდეგ, უკიდურეს შემთხვევაში, ძალის გამოსაყენებლად ახალი რეზოლუცია მიიღონ. ასეთი მიდგომა კი პროცესის გაწელვის და, უფრო მეტიც, «სურვილის შემთხვევაში» ბლოკირების შესაძლებლობას ქმნის.

უძველესი მეღვინეობის კერა საქართველოში

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

1965-1971 წლებში ექსპედიციამ, მეცნიერ თამაზ კიღურაძის ხელმძღვანელობით, სოფელ იმირის მახლობლად შეისწავლა ოთხი ნეოლითური ხანის ნასოფლარი - შულავერის გორა, იმირის გორა, დანგრეული და გადაჭრილი გორა. მკვლევარების მიერ შულავერ-შომუთეფეს კულტურად წოდებული, ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებული, ეს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები მას შემდეგ მუდმივი კვლევის საგანია.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ აღმოჩენილია VI ათასწლეულით დათარიღებული, უძველესი ღვინის წიპწები. კომპლექსური კვლევის შედეგად დგინდება, რომ ველური ვაზი ადამიანმა პირველად საქართველოს ტერიტორიაზე მოიშინაურა და შემდეგ უკვე კულტურული ვაზისგან ღვინო დაწურა. კერამიკული ჭურჭლის ანაფხეკებში აღმოჩენილია კულტურული ვაზის მტვრის მარცვლები, რაც ამ ჭურჭელში ღვინის არსებობის დასტურია.

2012 წლიდან ძეგლზე სამუშაოებს აგრძელებს ქართულ-ფრანგული არქეოლოგიური ექსპედიცია (საქართველოს ეროვნული მუზეუმის და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) პროექტის - LIA (Laboratory International Associate) - „GATES Project“ ფარგლებში. არქეოლოგიურ სამუშაოებში სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობას ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც იღებენ. ექსპედიციის ხელმძღვანელია ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების მთავარი კურატორი მინდია ჯალაბაძე.

ძეგლის არქეოლოგიური შესწავლით დგინდება, რომ ამ პერიოდში იწყება მიწათმოქმედების აღმავლობა და საზოგადოება გადადის ცხოვრების ახალ ეტაპზე. ჩნდება პირველი მეურნეობის ნიშნები, იწყებენ ცხოველების მოშინაურებას.

წლევანდელი ექსპედიციის შედეგად გამოვლინდა საცხოვრებელი ნაგებობები, სხვადასხვა შრომის იარაღები, ჭურჭელი, სამეურნეო ორმოები და სხვა. აღმოჩენილი მასალის დამუშავების და პალეო-ბოტანიკური კვლევის შედეგები კიდევ უფრო ნათელ სურათს შექმნის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ღვინის უძველესი კულტურის შესახებ.

უახლოეს მომავალში საქართველოს ეროვნული მუზეუმი და ღვინის ეროვნული სააგენტო ერთობლივად განახორციელებენ ქართული ღვინის კულტურის ისტორიის კვლევის ეროვნულ პროგრამას, რომლის მიზანიც საქართველოს როგორც უძველესი მეღვინეობის ქვეყნის წარმოჩენაა. **24 საათი**

მრავალენოვანი „ოსკარი„

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამ ეტაპზე უცხოენოვანი ნომინაციისთვის ფილმები 32-მა ქვეყანამ წარმოადგინა და ყველა მათგანი „გრძელი ნათელი დღეების“ კონკურენტია. ვნახოთ, რომელ ფილმებთან მოუნევს ჭიდილი 90-იანი წლების თბილისურ ისტორიას.

ერთ კინოფესტივალზე „გრძელი ნათელი დღეების“ ჩვენების დასრულების შემდეგ თანამედროვე ქართული კინემატოგრაფი რუმინულს შეადარეს. მიუხედავად იმისა, რომ რუმინული კინოს მიღწევებამდე ჯერ ბევრი გვაკლია, მაინც კარგია, ვიღაცაზე რომ გაქვს სწორება, მით უმეტეს, რომ ამჟამინდელი რუმინული კინო მართლაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას (აქ, ცხადია, კრისტიან მუნჟუს დამსახურებაზეც ბევრია სათქმელი). წელს კი რუმინეთმა ბერლინის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამის გამარჯვებული, „ოქროს დათვის“ მფლობელი „ჩვილის პოზა“ შეარჩია. ფილმის რეჟისორია კალინ პეტერ ნეცერი, ახალგაზრდა რეჟისორი, რომელსაც მანამდე ორიოდე ფილმი აქვს გადაღებული, ასეთი მასშტაბის წარმატებას კი პირველად მიაღწია.

„ჩვილის პოზა“

„ჩვილის პოზა“ სისხლის გამყინავი დრამაა, სწორედ ის ისტორიაა, როდესაც მაყურებელი ვერ წყვეტს შემთხვევითი მკვლელი (ფილმი ავტოავარიით იწყება) შეიძულოს, კრიმინალად შერაცხოს, პატიმრობისთვის გაიმეტოს თუ პირიქით - დესპოტი დედის გადამეტებული მზრუნველობის გამო შეიბრალოს.

ამ ეტაპზე ხუთეულში მოხვედრას ყველაზე მეტად სწორედ „ჩვილის პოზას“ უწინასწარმეტყველებენ, თუმცა არც მისი ანარიშგასაწევი კონკურენტების დავიწყება შეიძლება.

გერმანიამ ნორვეგიასთან ერთად გადაღებული კოპროდუქცია „ორი ცხოვრება“ წარმოადგინა. ფილმის რეჟისორია გეორგ მაასი, რომელიც ჰენელოპ ჰიპეს რომან „გამყინვარების პერიოდის“ ადაპტაციას გვთავაზობს. ფილმის სიუჟეტი ორ დროში ვითარდება: 90-იანებში, ბერლინის კედლის დანგრევის შემდგომ და მეორე მსოფლიო ომისას ნაცისტების მიერ ოკუპირებულ ნორვეგიაში. ფილმის ცენტრალური ფიგურა გერმანელი ჯარისკაცისა და ნორვეგიელი ქალის შვილია, ერთ-ერთი იმ ბავშვთაგანი, რომლებიც ნაცისტებს გერმანიაში გადაჰყავდათ და ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჰიმლერის მიერ დაარსებული ორგანიზაცია „ლიბენსბორნის“ მფარველობით ნამდვილ არიელებად ზრდიდნენ. ქალის მშვიდ ცხოვრებას ახალგაზრდა ადვოკატი არღვევს. მას ნორვეგიიდან ამ გზით გაყვანილთათვის კომპენსაციის მოპოვება სურს. იწყება სასამართლო პროცესი, რომელიც უამრავ ახალ საიდუმლოს ხდის ფარდას.

გერმანულ დრამას საფრანგეთი ჟილბურდოს მიერ გადაღებულ რენუარის ბიოპიკს უპირისპირებს. ფილმი რენუარის უკანასკნელი მოდელის, კარტინ ჰესლინგის მოგონებებს ეფუძნება, რომელიც მხატვრის შვილის, ჟან რენუარის კინოფილმების მთავარი მსახიობიც იყო. ამბობენ, რომ „რენუარი“ ძალიან ლამაზი ფილმია და მხატვრობასა და კინემატოგრაფს ერთნაირი დოზით უხსნის სიყვარულს.

ამჟამად ბათუმში მიმდინარე საავტორო კინოს ფესტივალის საერთაშორისო კონკურსის ერთ-ერთი ფილმი, სერჟ ავედიკიანისა და ოლენა ფეტისოვას „ფარაჯანოვი“ „ოსკარზე“ უკრაინამ წარადგინა. ფილმი კოპროდუქციაა და მის შექმნაში უკრაინის, საფრანგეთისა და სომხეთის გარდა საქართველოც მონაწილეობდა. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ფილმი სერგო ფარაჯანოვის ბიოპიკია, მის როლს კი რეჟისორთაგან ერთ-ერთი - სერჟ ავედიკიანი ასრულებს.

წლევანდელი კანის საერთაშორისო ფესტივალის საკონკურსო პროგრამის ერთ-ერთ ფილმს გვთავაზობს ჰოლანდია. ეს გახლავთ ალექს ვან ვარმერდამის „ბორგმანი“, „ბერლინალეს“ კონკურსის მონაწილე, ქალის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის „ვერცხლის დათვის“ მფლობელი პაულინა გარსიას მონაწილეობით სებასტიან ლელიოს მიერ გადაღებული „გლორია“ კი ესპანურ კინოს წარმოადგენს. წლევანდელ „ოსკარზე“ მოხვედრას ისეთი ქვეყნებიც შეეცდებიან, რომელთა კინემატოგრაფის არსებობის შესახებ ძალიან ცოტას თუ სმენია. მაგალითად, ნეპალურია „სუნგრავა - ორქიდეების ცეკვა“, რომელიც იმ მხრივაც აღსანიშნავია, რომ ერთსქესიან სიყვარულზეა. ინდოეთის კიდევ ერთი მოსაზღვრე ქვეყანა, პაკისტანი ასევე სასიყვარულო, თუმცა ამჯერად ტრადიციულ გრძნობებზე დაფუძნებულ დრამა Zinda Bhaag-ს წარმოადგენს (უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში პაკისტანმა პირველად წარადგინა ფილმი „ოსკარზე“), ლუქსემბურგი კი კრიმინალურ დრამა „ბრმა ნიშანს“. აქვე აღვნიშნავთ „ოსკარის“ დებიუტანტ ქვეყნებსაც: მონტენეგროს („ცუდი ილბალი“) და საუდის არაბეთს (Wadjda) ამერიკის კინოაკადემიაში მხოლოდ წელს გაიცნობენ.

„ოსკარის“ უცხოენოვანი ფილმების ნომინაციაზე ფილმების წარდგენის ვადა 1 ოქტომბერს იწურება. ამ დროისთვის საკუთარ რჩეულებს დაასახელებს აზერბაიჯანი, ირანი, ინდოეთი, კანადა, ისლანდია, იტალია, ნორვეგია, მექსიკა, ფილიპინები და სხვა ქვეყნები (მათ შესახებ მოგვიანებით გიამბობთ). რამდენიმე კვირაში აკადემიის წევრები სიას გაანახევრებენ, საუკეთესო ხუთეულს კი იანვარში, სხვა ნომინანტების დასახელებისას გაგვაცნობენ. „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიალი 2014 წლის 2 მარტს გაიმართება.

დაუვიწყარი მოგონებები დიდ ბრიტანეთიდან

მაგდა მამალაძე

ლუკა ყაჭეიშვილი

გვანცა ცინცაძე

კომპანია სს „წყალი მარგებელმა“ (ნაბეღლავმა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებისათვის ინგლისურ ენაში განათლების ამაღლების წახალისების მიზნით, სპეციალური პროექტი შეიმუშავა და ინგლისურ ენაში ყველაზე მაღალი აკადემიური მაჩვენებლის მქონე სამი მოსწავლე დიდ ბრიტანეთში, ორკვირიანი ენის კურსებით დააჯილდოვა. ინგლისური ენის კურსი, ცხოვრებისა და გზის ხარჯები, ექსკურსიებისა და სხვადასხვა სახის აქტივობები კომპანია „ნაბეღლავმა“ დააფინანსა

ნაბეღლავმა საინტერესო და შთაბეჭდილებებით სავსე 15 დღე გვაჩუქა. ექსკურსიები, საინტერესო გაკვეთილები, ახალი ნაცობები, კომფორტული გარემო - ალბათ არასოდეს დაგვავიწყდება... და რაც ყველაზე მთავარია, მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება მივიღეთ, - ემოციებს ვერ მალავენ ისინი.

მათი შერჩევა განათლების სამინისტროს მიერ ინგლისურ ენაში ჩატარებული ოლიმპიადის შედეგების გათვალისწინებით, სამინისტროდან გამოთხოვილი ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე მოხდა. რეიტინგის მიხედვით პირველი სამი მოსწავლე გვანცა ცინცაძე (53 ქულა), ლუკა ყაჭეიშვილი (50 ქულა) და მაგდა მამალაძე (45 ქულა) რომლებმაც საუკეთესო შედეგები აჩვენეს აგვისტოში დიდ

ბრიტანეთიდან დაბრუნებული მოსწავლეები ჩვენთან საუბრისას ამბობენ, რომ ეს იყო დაუვიწყარი ორი კვირა, რომელმაც მათ ბევრი რამ ასწავლა.

მაგდა მამალაძე, ჩოხატაურის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე: «EC LONDON school - სკოლა, სადაც 2 კვირა გავატარე, არასდროს დამავიწყდება. პროფესიონალი, მხიარული მასწავლებლები, საინტერესო გაკვეთილები, სწავლისთვის საჭირო გარემო... და, რაც მთავარია, ინგლისური ენის არაჩვეულებრივი პრაქტიკა. გავიცანი უამრავი თანატოლი გერმანიიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ვცხოვრობდი არაჩვეულებრივ ოჯახში, რომლის ყველა წევრი ცდილობდა თბილი გარემო შეექმნა ჩემთვის.

ძალიან შემიყვარდა ლონდონი, თავისი წითელი ავტობუსებით, ტელეფონის ჯიხურებით, თავაზიანი ხალხით, უზარმაზარი მეტროსადგურებით. ვნახე ლონდონის ეროვნული გალერეა. არასდროს დამავიწყდება ლეონარდო და ვინჩის, ვან გოგის, მონეს, მანეს, რენუარის, პიკასოს, ალფრედ სისლეის ნამუშევრებით გამოწვეული ემოციები. მიუხედავად იმისა, რომ ნახატების უმეტესობა სხვადასხვა გამოცემაში ნანახი მქონდა, ჩემზე სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა ორიგინალების ნახვამ. ვესტუმრეთ ბრიტანეთის მუზეუმს, სადაც მთელი მსოფლიოს ისტორიაა თავმოყრილი და ძველი ეგვიპტის, რომის, ელადურ ძეგლებთან ერთად, დავით IV აღმაშენებლის სპილენძის უნიკალური მონეტაც ინახება. ვნახეთ მადამ ტუსოს მუზეუმი. შეესაძლებლობა მქონდა საკუთარი თვალით მენახა ცნობილი ისტორიული პირების, მეცნიერების, კინოს, მუსიკისა და სპორტის ვარსკვლავების, თქვენ წარმოიდგინეთ, განგსტერებისაც კი, ცვილის ფიგურები. თმის ფერი, სახის ნაკვთები, ვარცხნილობა ყველაფერი რეალურთან დაახლოებული და თითქმის ანალოგიური იყო. არაჩვეულებრივი შეგრძნებაა იდგე აინშტაინის, პიკასოს, ვან გოგის, მაჰათმა განდის, ჩერჩილის, შექსპირის, ბრიტანეთის დედოფლის, თუნდაც მსოფლიოს მრავალ გზის ჩემპიონ ჰუსეინ ბოლტის, პელეს გვერდით. მქონდა შესაძლებლობა დამეთვალიერებინა მთელი ლონდონი „ლონდონის თვალიდან“, რომელიც ყველაზე დიდი სათვალთვალო ბორბალია ევროპაში და სრული ბრუნის შესრულებას 40 წუთს ანდომებს. ასევე დავათვალიერეთ ლონდონის ხიდი, უესტმინსტერის სააბატო, ტრაფალგარის მოედანი, ვიყავით ოქსფორდის ქუჩაზე, გრინვიჩის ობსერვატორიაში, ჰაიდ პარკში. დასვენების დღეს ვესტუმრეთ საზღვაო ქალაქ ბრაიტონს, რომელიც ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე, ლა-მანშის სრუტესთან მდებარეობს. არასდროს დამავიწყდება ამ მშვენიერ, ხმაურიან, მხიარულ ქალაქში გატარებული ყოველი დღე... ამას, ყველაფერს კომპანია „წყალი მარგებელს“ უნდა ვუმადლოდე. ის, რომ ჩემი პირველი მოგზაურობა და სწავლა საქართველოს გარეთ ასე მშვენიერი გამოდგა, ამ კომპანიის დამსახურებაა და დიდი მადლობა მას ამისთვის.»

როგორც მაგდა ამბობს, ვიზიტი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული:

«გამგზავრების წინ და ჩამოსვლის დროს შეგვხვდნენ ბატონი მიხეილ სვიმონიშვილი და გია გოგოლაძე. მათ აინტერესებდათ როგორი იყო ჩვენი ვიზიტი ლონდონში, იყო თუ არა სასარგებლო ინგლისური ენის შესწავლისთვის» - დასძინა მაგდა მამალაძემ.

ლუკა ყაჭეიშვილის თქმით, ლონდონმა თავი სიგარეტის ნაკლები კვამლით დაამახსოვრა:

«2013 წლის აგვისტოს, სრულიად მოულოდნელი სასიხარულო ამბავი გავიგე - დიდ ბრიტანეთში მივემგზავრებოდით, რათა გაგვევლო 2-კვირიანი ინგლისური ენის კურსები ლონდონის სკოლის «EC LONDON school»-ში. სამივესთვის ეს იყო პირველი მგზავრობა საზღვარგარეთ; იქეთობას, აეროპორტებში გზის დამოუკიდებლად გაკვლევა ცოტა ძნელი აღმოჩნდა, თუმცა, აქეთობას მივხვდით, რომ უკვე ყველგან შეგვიძლია დამოუკიდებლად წასვლა. მე და მაგდა ლონდონში დაგვაბინავეს, გვანცა კი - ოქსფორდში»

«სკოლაში მისულებს, იმავე დღეს ტესტები დაგვაწერინეს და ჯგუფებში გაგვანაწილეს. შემიძლია თავისუფლად ვთქვა, რომ ყოველი დღე, გაკვეთილებიც კი ძალიან საინტერესო იყო. დაგვათვალიერებინეს მთელი ლონდონი ჩვენი გუნდის, სოციალურმა ლიდერებმა, ერთმანეთზე უკეთესებმა და მხიარულებმა, რომლებიც მზად იყვნენ დაგვხმარებოდნენ ყველაფერში.

საინტერესოა, რომ რაც ლონდონში ჩავედი, მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ ვიგრძენი სიგარეტის სუნი.

გავიცანი უამრავი უცხო მეგობარი. მეგობრების შეძენა იმაზე ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. სრულიად აღფრთოვანებული ვარ ლონდონის სილამაზით და იქაური ხალხის სიკეთით. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ეს 2 კვირა საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში.» - ამბობს ლუკა.

გვანცა ცინცაძე, რომელმაც 2 კვირა ოქსფორდში გაატარა, ბრიტანეთში არსებული მაღალი ფასებით უკმაყოფილო დარჩა:

«ერთადერთი, რაც დიდ ბრიტანეთში არ მომეწონა, ეს არის მაღალი ფასები. სამწუხაროდ, განრიგიდან გამომდინარე, ვერ მოვახერხე საფეხბურთო მატჩსა თუ როკ-ონცერტზე დასწრება. სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ, მივიღე სერთიფიკატი. ოქსფორდში გატარებული 2 კვირა ჩემთვის დიდი და საესიამოვნო გამოცდილებაა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი „წყალი მარგებელს,“ - აღნიშნა გვანცამ.

როგორც მაგდა ამბობს, „წყალი მარგებლის“ ამგვარი მიდგომა დიდი სტიმულია ჩოხატაურელი მოსწავლეებისთვის: - დარწმუნებული ვარ, ეს ერთჯერადი სიურპრიზი არ იქნება და ჩემი სხვა თანატოლიც ამ კომპანიისგან სასიამოვნოდ გაოცებული დარჩება. კარგია, როცა შრომა და სწავლა ფასდება და შენზე ზრუნავენ, მაგარია!»

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020407

შემსყიდველი	სოციალური მომსახურების სააგენტო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	17.09.2013 14:38
წინადადებების მიღება იწყება	20.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	24.09.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1730 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	79700000-გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	79700000-გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.ტექნიკური დავალება
მოწოდების ვადა	იხ.ტექნიკური დავალება
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	30 ლარი
გარანტიის ოდენობა	17 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020356

შემსყიდველი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.09.2013 19:22
წინადადებების მიღება იწყება	20.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	24.09.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	250 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	39100000-ავეჯი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	39100000-ავეჯი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	4 ლარი
გარანტიის ოდენობა	3 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020357

შემსყიდველი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.09.2013 19:31
წინადადებების მიღება იწყება	03.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	08.10.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	61014 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45232154-სასმელი წყლის მაღლივი სადაწნეო რეზერვუარების მშენებლობა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის ვადაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1000 ლარი
გარანტიის ოდენობა	610 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020368

შემსყიდველი	სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.09.2013 21:43
წინადადებების მიღება იწყება	19.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	23.09.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	4196 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	20 ლარი
გარანტიის ოდენობა	42 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

შეგნებული საქციელი თუ დასანანი გაუგებრობა?

ქართველებს სამწუხაროდ ყოველთვის გვგონია, რომ პუტინი საქართველოსთან მიმართებაში დასანან შეცდომას უშვებს

მაშინ, როდესაც ზამთრის XXII ოლიმპიურ თამაშებამდე ოთხ თვეზე ოდნავ მეტი რჩება, «სოჭი 2014“-ის საორგანიზაციო კომიტეტი, შესაძლოა, ახალ გაუგებრობაში აღმოჩნდეს. საქმე ეხება ოლიმპიადის სააკრედიტაციო ფორმაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სუბიექტებად შეყვანას. განვმარტავთ, რომ საუბარია ევროპის მაუწყებელთა კავშირის ელექტრონულ ბაზაში განთავსებულ ტელე-მედიის საარეგისტრაციო ფორმაზე, რომელშიც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ცალკე სახელმწიფოებად არის მოხსენიებული.

სავარაუდოდ, ზემოხსენებული ელექტრონული ბაზა ევროპის მაუწყებელთა კავშირს «სოჭი 2014“-ის საორგანიზაციო კომიტეტმა მიაწოდა.

ამ უსიამოვნო ამბის დეტალების გასარკვევად და დასანანი გაუგებრობის დროულად აღმოსაფხვრელად, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალური წერილით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური თამაშების მედია-ოპერაციების განყოფილებას. როგორც ოფისის ხელმძღვანელმა ენტონი ედგარმა გვიპასუხა, ვითარებაში გაერკვევიან და ოფიციალურ პასუხსაც ოპერატიულად გვაცნობებენ.

„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, როგორც ქვეყნების მოხსენიება ოლიმპიური თამაშების ნებისმიერ პროგრამაში გამორიცხულია. მსოფლიო ქვეყნების 99% აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არ აღიარებს. შესაბამისად, ისინი არც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ არიან აღიარებულნი“ - განაცხადა სეოკ-ის პირველმა ვიცეპრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა

geonoc.org.ge

ძალამიძე «იაგელონიას» ოფიციალურ მატჩში დაუბრუნდა

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ „იაგელონიას“ შემტევი ნახევარმცველი ნიკა ძალამიძე პოლონურ კლუბს პირველი ოფიციალური მატჩით დაუბრინდა.

21 წლის ქართველმა ნახევარმცველმა პოლონეთის მესამე ლიგაში, „იაგელონია II“-ის შემადგენლობაში, „ტურთან“ წაგებულ (0:2) მატჩში ითამაშა. ძალამიძეს შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში არ დაუწყია - 55-ე წუთზე ჩაერთო თამაშში.

განვლილი შეხვედრა სრულად ჩაატარა „იაგელონიას“ კიდევ ერთმა ქართველმა ლეგიონერმა გიორგი ფოფხაძემ.

ჯილარდინო «ჯენოაში» ბედნიერია

იტალიელი თავდამსხმელი ალბერტო ჯილარდინო ტურინის „იუვენტუსში“ ტრანსფერის ჩაშლის გამო გულდაწყვეტილი არ არის. პირიქით, „ჯენოაში“ თავს ბედნიერად გრძნობს და ამას ხმამაღლა ამბობს კიდეც.

„ჯენოაში“ დავრჩი და ბედნიერი ვარ, რომ ასე მოხდა. ახლა კარგ ფიზიკურ ფორმაში ვარ და მაღალ დონეზე თამაში შემიძლია. შეხედეთ კლოზეს, ტოტის, დი ნატალეს, რომლებსაც ამ ასაკშიც კი ბევრი გოლი გააქვთ. მინდა, ისეთ დონეს მივაღწიო, რომ წლების შემდეგაც ხშირად გამქონდეს გოლები“, - ამბობს ჯილარდინო.

ამბობენ, „იუვენტუსი“ ჯილარდინოს ყიდვას ზამთარშიც შეეცდებაო.

პატო «მილანის» ექიმებისკენ იშვერს ხელს

ბერძნული „კორინთიანსის“ ბრაზილიელი თავდამსხმელი ალეშანდრე პატო თავის ტრავმებში ყოფილი კლუბის, მილანის „მილანის“ სამედიცინო პერსონალს ადანაშაულებს: „მილანში“ გამუდმებით ტრავმა მაწუხებდა, თუმცა, კუნთებთან დაკავშირებული პრობლემები ჩემი ბრალი არ ყოფილა. ყველაფერი ექიმების ბრალი იყო, რომლებიც ნაადრევად მაიძულებდნენ მოედანზე დავბრუნებულიყავი“, - ექიმებს ადანაშაულებს 24 წლის ბრაზილიელი.

ალეშანდრე პატო „მილანში“ 2007 წლიდან გამოდიოდა. ამ გუნდის შემადგენლობაში 150 მატჩი ჩაატარა და 63 გოლი გაიტანა. ბრაზილიელი ფეხბურთელი 2013 წლის იანვრიდან იცავს „კორინთიანსის“ ღირსებას.

შერინგემი «მანიუს» სატრანსფერო პოლიტიკამ გააბრაზა

როგორც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი თავდამსხმელი ტედი შერინგემი ამბობს, «წითელ ეშმაკუნებს» შეეძლოთ, ფელაინის ნაცვლად, იოზილი შეეძინათ.

„კლუბს ფელაინის ნაცვლად იოზილი სჭირდებოდა, როგორც გამთამაშებელი. ჩემი აზრით, მაიკლ კერიკი და ფელაინი ერთი სტილის ფეხბურთელები არიან, მაგრამ კერიკი საქმეს უფრო კარგად აკეთებს. რატომ მოიყვანეს ფელაინი? თუ კლუბი 28 მილიონ ფუნტ სტერლინგს იხდის, მაშინ ფეხბურთელმა ძირითადში აუცილებლად უნდა ითამაშოს“, - თავისი არგუმენტი აქვს შერინგემს.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020355

შემსყიდველი	აღსრულების ეროვნული ბიურო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.09.2013 19:19
წინადადებების მიღება იწყება	19.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	23.09.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	930 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	79800000-ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	79810000-ბეჭდვითი მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	1000 ცალი
მოწოდების ვადა	შემსყიდველის მოთხოვნიდან 7 სამუშაო დღის ვადაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	4 ლარი
გარანტიის ოდენობა	9 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020362

შემსყიდველი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.09.2013 20:03
წინადადებების მიღება იწყება	03.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	08.10.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	25000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	18800000-ფეხსაცმელი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	18800000-ფეხსაცმელი, 18813000-ტყავისზედაპირიანი ფეხსაცმელი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მამაკაცის ფეხსაცმელი დაბალყელიანი - 460 წყვილი; ქალის ფეხსაცმელი დაბალყელიანი - 40 წყვილი.
მოწოდების ვადა	საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 15 დეკემბრისა.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100 ლარი
გარანტიის ოდენობა	250 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020358

შემსყიდველი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.09.2013 19:36
წინადადებების მიღება იწყება	19.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	23.09.2013 15:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	8000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	34100000-ავტოსატრანსპორტო საშუალებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	34100000-ავტოსატრანსპორტო საშუალებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღის ვადაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	150 ლარი
გარანტიის ოდენობა	80 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020364

შემსყიდველი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	16.09.2013 20:11
წინადადებების მიღება იწყება	03.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	08.10.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	17500 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	18200000-გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	18200000-გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი , 18235100-პულოვერები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	პულოვერი - 500 ცალი.
მოწოდების ვადა	საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 15 დეკემბრისა.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	70 ლარი
გარანტიის ოდენობა	175 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

GER GET IT!

ზურა თალაკვაძე

Red Bull პიარის გარეშე აპიარებს თავის ამბებს. უბრალოდ, მაღალ, ალბათ, ყველაზე მაღალ დონეზე აკეთებს საქმეს და კომპანია რეალურად გაძლევს იმას, რისი მიღებაც გსურს. კომპანიის პროდუქტი ერთი-ერთი Red Bull-ია. ენერჯაიზერი და ჰაიქლასი. სტეფანწმინდაში Red Bull აწყობს ესტაფეტურ შეჯიბრებას ნამდვილი ექსტრემალებისთვის, მათთვის, ვინც კომპლექსებზე არ აკომპლექსებს და მათთვი, ვისაც Red Bull უყვარს. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით საღამო უფრო სამინისტროს ფერებით დაიტვირთა. რეალურად, Red Bull სამინისტროებს და დანარჩენ უწყებებს ისედაც ფარავს. GER GET IT, საღამო ესტაფეტური შინაარსით, რომელიც საქართველოში პირველად ჩატარდა. და ყაზბეგში მთებმაც Red Bull ჩაარტყეს. და მთებიც ხასიათზე მოვიდნენ. მთები ერთმანეთზე გადადიოდნენ და ახალ Red Bull-ს ითხოვდნენ.

იქ ბევრი რაღაც იყო.

იქ იყო მოუსვენარი მდინარე თერგი და ამ მდინარეზე ექვსკილომეტრიანი დაშვება კაიაკით.

იქ იყო კლდეზე ცოცვა. 30 მეტრზე ასვლა ეფექტური იყო. მოხალისეები ერთობოდნენ.

სამთო ველოსიპედით გარჩევებიც თემაა. 12 კილომეტრი. სულის მოთქმის გარეშე. ყაზბეგის უბნებში.

სამთო სირბილი. 7 კილომეტრი. მთებში რელაქსაცია ყველაზე მაგარია. იქვე, ჟურნალისტების ადგილიდან გადავხედეთ მონაწილეებს და მთელი ეს ფუსფუსი ტილოზე გადასატანი იყო. ბევრ ფერში და ბევრი ფერით. ერთობლიობაში, პროცესი სასიამოვნო სანახავი იყო. უბრალოდ, მთელი ამ სამთო ადრენალინის მისაღებად იქვე, სტეფანწმინდაში უნდა ყოფილიყავი.

საღამოს საპრიზო ფონდი 6 000 ლარი იყო. ვინც გაშლიდა ფლეშს, მიიღებდა ამ თანხის ნახევარს. Fair enough.

ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველო, აზერბაიჯანი, უკრაინა, თურქეთი, ლატვია, ამერიკის ბევრი შტატი, ჰოლანდია და გერმანია.

სამთო სამოთხეში ენერგიაც ენერგიული იყო. დაკუნთული, გარუჯული, ცოტა გასაპარსი ენერგია და ამ ენერგიას Red Bull აკლდა. ენერჯაიზერი იქვე იყო და მაინც უნდა მიეღო თავისი დოზა. Red Bull-ის დოზა სასიამოვნო ტალღაა, რომელიც გფარავს და ისვენებ.

მონაწილეები მონაწილეობდნენ და ჟურნალისტების ნაწილი «რუმზში» გადავედით. და «რუმზში» მიხეილ სააკაშვილი ისვენებდა. პრეზიდენტი ფორმაში იყო. მაგრად გამოიყურებოდა. უკომპლექსოდ მაგრად. პრეზიდენტთან ერთად ფოტოსესია, პრეზიდენტთან ერთად რაღაცების გახსენება და საუბარი სვირინგებზე - წამოიღო. ყაზბეგში ყველაფერმა წამოიღო და ყაზბეგში პრეზიდენტმა განწყობა შექმნა. ენერგიული. ენერგიულად. მენიუში ხაჭაპური, პიცა და სენდვიჩები შევიდა. გემრიელად ავითვისეთ ყველაფერი. ცოტა მოვჯოკრეთ, ცოტა დავისვენეთ და პრეზიდენტმა დაგვტოვა. და საღამო დამთავრდა. დაიწყო დაჯილდოება. რედბულური.

ერთადერთი, რაც დაჯილდოებისას ცუდად ხვდებოდა ყურს, წამყვანის მეტყველება იყო. ცუდი რუსული, გაუმართავი ინგლისური და მიუღებლად, უადგილოდ თავისუფალი ქართული. ჩემი მეგობარი, გიო ზურაბიშვილი, ამ ამბავს უფრო კარგად მოაგვარებდა. ჩამოვთვლაოთ გამარჯვებულები.

გუნდურში პირველი ადგილი დაიკავა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გუნდმა (116 წუთი და 42 წამი). შემადგენლობა - ბესო ყავლაშვილი, გიორგი გაბულდანი, მიშა გეწაძე და გიორგი შეყრელიძე.

საუკეთესო შედეგები დისციპლინების მიხედვით: კაიაკში - უგურ პოლატი (თურქეთი), კლდეზე ცოცვა - გიორგი გაბულდანი, სამთო ველოსპორტი - გიორგი მაღრაძე და სამთო სირბილი - რომანს ევარტსი (ლატვია).

შედეგებზე უფრო შედეგიანი მთელი დღე იყო. დავისვენეთ, ვნახეთ ცოცხალი პრეზიდენტი, გადავიღეთ ფოტოები ცოცხალ პრეზიდენტთან, ცოცხალმა პრეზიდენტმა ნოსტალგია დატოვა და მთელი ეს ამბები დაიხურა. ყველაფერი მთავრდება და Red Bull-ის საღამოც დაილექა, ქვიშის საათის ფსკერზე ჩამოჯდა. კიდევ ერთი საინტერესო ფრაგმენტი საინტერესო კომპანიისგან. კიდევ ერთი საინტერესო ფრაგმენტი ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის. რეალურად კარგი იყო. რეალურად დასამახსოვრებელი და გული დაგვწყდა, რომ წამოსასვლელები ვიყავით.

დაჯილდოების შემდეგ გაიზარდა ენერგიის რადიოტალღა. და კიდევ ერთხელ წამოიღო. უკვე მერამდენედ იმ დღეს. Red Bull საუკეთესო მეგობარი იყო და მეგობარმა ბევრი საინტერესო ამბავი გვიამბო. რაღაცები ჩვენც გავიხსენეთ და საღამო მშვიდად, არაქართულად დაიხურა. დედას გეფიცებით, წამოსვლა აღარ მინდოდა.

Red Bull პიარის გარეშე აპიარებს თავის ამბებს. უბრალოდ, მაღალ, ალბათ, ყველაზე მაღალ დონეზე აკეთებს საქმეს და კომპანია რეალურად გაძლევს იმას, რისი მიღებაც გსურს. კომპანიის პროდუქტი ერთი-ერთი Red Bull-ია. ენერჯაიზერი და ჰაიქლასი. სტეფანწმინდაში Red Bull აწყობს ესტაფეტურ შეჯიბრებას ნამდვილი ექსტრემალებისთვის, მათთვის, ვინც კომპლექსებზე არ აკომპლექსებს და მათთვის, ვისაც Red Bull უყვარს. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით საღამო სამინისტროს ფერებით დაიტვირთა. Red Bull სამინისტროებს და დანარჩენ უწყებებს ისედაც ფარავს. GER GET IT, საღამო ესტაფეტური შინაარსით, რომელიც საქართველოში პირველად ჩატარდა. ყაზბეგში მთებმაც Red Bull ჩაარტყეს. და მთებიც ხასიათზე მოვიდნენ. მთები ერთმანეთზე გადადიოდნენ და ახალ Red Bull-ს ითხოვდნენ.

GER GET IT!

 სასკოლო სახელმძღვანელოები
საგამომცემლო ფასში

აბიტურიენტები, ტესტები, საატესტაციო წიგნები
და სხვა დამხმარე ლიტერატურა.

სასკოლო საკანცელარიო ნივთები

ვაჟა-ფშაველას 43,
„დელისის მეტროსთან“
პროფკავშირების კულტურის ცენტრში
595 11 32 33
571 11 32 33